ანგარიში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისა (გამარჯვების საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატის) და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ბესიკ ჩეჩელაშვილის მიერ 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის

შ ე ს ა ხ ე ბ

მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო და „გამარჯვების“ სამაჟორიტარო ოლქის მაცხოვრებლებო, როგორც თქვენი მაჟორიტარი დეპუტატი, ვთვლი, რომ ღიაობა და ანგარიშვალდებულება ჩემი საქმიანობის უმთავრესი ნაწილია. სწორედ ამიტომ, მსურს, მოგაწოდოთ ინფორმაცია იმ სამუშაოებისა და პროექტების შესახებ, რომლებიც ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა და კონკრეტული შედეგები მოიტანა.

„გამარჯვების“ სამაჟორიტარო ოლქში განხორციელდა და დასრულდა არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, ასევე განხორციელდა სოციალური მხარდაჭერა, რომელიც ჩვენი ოლქის მოსახლეობის საჭიროებებსა და ინტერესებზე იყო მორგებული.

დღეს წარმოგიდგენთ დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა, რა შედეგები მივიღეთ და რა გეგმები გვაქვს სამომავლოდ.

ჩემი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატის, მთავარი პრიორიტეტი ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება გამარჯვების ოლქის მოსახლეობის ინტერესების დაცვა, მათი საჭიროებების გათვალისწინება და არსებული პრობლემების ეტაპობრივი მოგვარება. ამ მიმართულებით ვცდილობ, მაქსიმალურად ეფექტურად ვიმუშაო როგორც საკრებულოს წევრმა, ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რათა მოსახლეობის საჭიროებები შესაბამის უწყებებამდე მივიტანო და მათი გადაჭრის გზების მოძიებაში აქტიურად ვიყო ჩართული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ:

ინფრასტრუქტურული მიმართულებით

„გამარჯვების“ სამაჟორიტარო ოლქში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის:

არაყიშვილის ქუჩაზე დასრულდა გზის რეაბილიტაცია;

ირაკლი აბაშიძის გამზ. N8-ის მიმდებარედ განხორციელდა გზის საფარის ორმოული შეკეთება;

განხორციელდა ორი სკვერის რეაბილიტაცია: ჯავახიშვილის ქ. N51-ის მიმდებარედ და ბუხაიძის მე-2 მ/რ N18-ის წინ;

დასრულდა ბუხაიძის მე-2 მ/რ N17-სა და N14-ს შორის სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია;

მიმდინარეობს ზვიად გამსახურდიას გამზ. N19-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია.

არაყიშვილის ქუჩაზე, 23-ე საჯარო სკოლის წინ, მოეწყო სანიაღვრე მილი.

„გამარჯვების“ სამაჟორიტარო ოლქის ტერიტორიაზე სეზონურად მიმდინარეობს ბალახის მოთიბვისა და სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები.

მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ჯავახიშვილის მე-2 შესახვევის უკანა ტერიტორიაზე განხორციელდა ბალახის მოთიბვა, საფეხმავლო გზისა და სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაოები.

ჯავახიშვილის I შესახვევის N22-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში დაიდგა ნაგავშემკრები ორი ბუნკერი, ხოლო ერთი არსებული ბუნკერი შეიცვალა ახლით.

ბუხაიძის მე-2 მიკრორაიონის N9 და N11 კორპუსებთან განხორციელდა 7 ძირი ხის გადაბელვის სამუშაოები.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მიმართულებით

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- დასრულდა ილია ჭავჭავაძის გამზ. N64-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს რეაბილიტაცია;
- მელიქიშვილის ქ. N10-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსი გადაიხურა;
- დასრულდა სადარბაზოების რეაბილიტაცია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, კერძოდ:
    - ბუხაიძის მე-2 მ/რ N16 — I და II სადარბაზო.
    - ირ. აბაშიძის გამზ. N6 — III სადარბაზო.
    - დ. აღმაშენებლის გამზ. N140 — I სადარბაზო.
    - მელიქიშვილის ქ. N4 — II სადარბაზო.

- ბუხაიძის მე-2 მ/რ N19 — I სადარბაზო.
- ბუხაიძის მე-2 მ/რ N14 — II და III სადარბაზო..

- მოწესრიგდა ლიფტები ორ მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში და განხორციელდა ახალი ლიფტის კაბინის მოწყობა:
  - ბუხაიძის ქ. N4;
  - დ. აღმაშენებლის გამზ. N136 — IV სადარბაზო.
- დასრულდა პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია 6 მისამართზე:
  - ჯავახიშვილის I შეს. N15;
  - ილ. ჭავჭავაძის გამზ. N51;
  - ილ. ჭავჭავაძის გამზ. N55;
  - ბუხაიძის ქ. N11 — IV სადარბაზო;
  - არაყიშვილის ქ. N1 — III სადარბაზო;
  - დ. აღმაშენებლის გამზ. N112 — I სადარბაზო.
- მოგვარდა შიდა საკანალიზაციო მილების პრობლემა 3 მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში:
  - ბუხაიძის მე-2 მ/რ N11;
  - ილ. ჭავჭავაძის გამზ. N64 — I და IV სადარბაზოები;
  - მელიქიშვილის ქ. N10.
- ბუხაიძის მე-2 მ/რ N17-ში მდებარე ბინის ამხანაგობას გადაეცა ტუმბო, რაც ხელს შეუწყობს საცხოვრებელ კორპუსში შესაბამისი ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას.
- მელიქიშვილის ქუჩა N10-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, მოეწყო ფანჩატური.

წინასაარჩევნო პერიოდში სისტემატურად ვმართავდი შეხვედრებს მოქალაქეებთან, ვისმენდი მათ პრობლემებსა და საჭიროებებს. მაჟორიტარ დეპუტატად არჩევის შემდეგ, რა თქმა უნდა, გავაგრძელე მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაცია, მათი პრობლემების მოსმენა და მათი გადაჭრის გზების მოძიება.

ამჟამად, განხორციელებული მაქვს 23 შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც წლის განმავლობაში შევხვდი 100-მდე მოქალაქეს. მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მატერიალური დახმარება გავუწიე 74 მოქალაქეს, ჯამში 22 500 ლარის ოდენობით. საახალწლო და საახდგომო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვაუჩერები გადავეცი 34 (ოთცდათოთხმეტ) სოციალურად შეჭირვებული ოჯახის წარმომადგენელს.

ამასთანავე, მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელდა მოქალაქეების მიერ წამოჭრილი პრობლემებისა აღრიცხვა, ადგილზე გასვლა მათი აღმასრულებელი რგოლისთვის გადაგზავნა. აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული იქნება 2027 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრით,

რათა არსებული პრობლემების ეტაპობრივი მოგვარება და მოსახლეობის საჭიროებებზე შესაბამისი რეაგირება უზრუნველყოფილ იქნეს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამასთანავე, გახლავართ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, რაც მაძლევს შესაძლებლობას, აქტიურად ვიყო ჩართული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, განვახორციელო მისი შესრულების მონიტორინგი საჭიროების შემთხვევაში, მივაწოდო რეკომენდაციები, რათა ბიუჯეტი მაქსიმალურად იყოს მორგებული მოქალაქეთა საჭიროებებსა და მოთხოვნებზე.

მოკლედ მოგახსენებთ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საქმიანობის შესახებ და გაგაცნობთ იმ ძირითად საკითხებსა და მიმართულებებს, რომლებზეც კომისიამ საანგარიშო პერიოდში იმუშავა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებისა და სხვა მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია წარმოადგენს საკრებულოს ერთ-ერთ მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს საბიუჯეტო, საფინანსო და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს, ამზადებს დასკვნებს, რეკომენდაციებსა და წინადადებებს, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს და აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

კომისია შედგება 11 წევრისაგან.

საანგარიშო პერიოდში კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და ფორმირების პროცესში. ბიუჯეტის პარამეტრების შემუშავების ეტაპზე კომისიის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ სამუშაო შეხვედრებში მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან, სადაც განიხილებოდა ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ფინანსური რესურსების განაწილების საკითხები.

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მეორე (საბოლოო) ვარიანტში აისახა კომისიის მიერ 2025 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტთან დაკავშირებით წარმოდგენილი შენიშვნები და რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ კომისიამ

2025 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე ბიუჯეტის პროექტს დადებითი რეკომენდაცია მისცა და მოამზადა შესაბამისი დასკვნა.

კომისიის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, 2026 წლის 26 იანვრის სხდომაზე დამტკიცდა კომისიის სამუშაო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები. სამუშაო გეგმის შესაბამისად, კომისიის სხდომებზე პერიოდულად განიხილებოდა ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შედეგები, ფინანსური მაჩვენებლები, მიმდინარე გამოწვევები და სამომავლო გეგმები. წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, ანგარიშვალდებული სამსახურები და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციები კომისიას წარუდგენდნენ ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ჩაატარა 12 (თორმეტი) სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა 32 (ოცდათორმეტი) საკითხი.

კომისიის ყველა სხდომა ჩატარდა საჯაროდ. არც ერთი სხდომა არ გადადებულა და არ ჩაშლილა. თითოეულ სხდომაზე მოწვეული იყვნენ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, რამაც უზრუნველყო საკითხების სრულყოფილად განხილვა.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელთან დაკავშირებით მომზადდა შესაბამისი წინადადებები, რეკომენდაციები და დასკვნა, რომლებიც რეაგირებისთვის გადაეგზავნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას;
2. შეფასდა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები;
3. განხილულ იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები. კერძოდ, 2025 წლის ბიუჯეტში განხორციელდა ერთი (მეოთხე) ცვლილება, ხოლო 2026 წლის ბიუჯეტში — ოთხი ცვლილება. ყველა შემთხვევაში კომისიამ მოამზადა დადებითი დასკვნა, რომელიც წარედგინა საკრებულოს;
4. მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ანგარიშები.

1. ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური;
2. სოციალურ საკითხთა სამსახური;
3. საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;
4. მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური;

5. შიდა აუდიტის სამსახური;
6. ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანები“;
7. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“;
8. ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები“;
9. ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციი“;
10. ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი“;
11. ა(ა)იპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი“.
12. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“
13. ა(ა)იპ „ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა“

კომისიამ საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების შეფასებას, ანგარიშვალდებული სამსახურებისა და ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზს და ფინანსური მართვის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობას.

საანგარიშო პერიოდში კომისია საქმიანობას წარმართავდა საჯაროობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კოლეგიალურობის პრინციპების დაცვით. სხდომებზე უზრუნველყოფილი იყო საკითხების ამომწურავი განხილვა.

შემდგომ საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების სისტემური მონიტორინგი, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობა, კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვა და ინიცირება, ანგარიშვალდებული სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება, პრობლემური საკითხების ანალიზი და მათი გადაჭრის მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 სხდომას, სადაც მოვისმინე და მონაწილეობა მივიღე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში.

ჩემი საქმიანობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მხოლოდ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეობით არ შემოიფარგლება. ამასთანავე, საკრებულოში ვარ ფრაქცია „ქართული ოცნებისა“ და იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი.

ფრაქცია „ქართული ოცნება“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრის სტატუსით აქტიურად ვმონაწილეობ ფრაქციის საქმიანობაში. მონაწილეობა მაქვს მიღებული ფრაქციის 21 სხდომაში. ჩემი საქმიანობა მოიცავს საკითხების ინიცირებას, არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, ასევე მიმდინარე პროცესების კონტროლსა და მონიტორინგს.

იურიდიულ საკითხთა კომისია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრის სტატუსით აქტიურად ვარ ჩართული კომისიის მუშაობაში და მონაწილეობას ვიღებ მის სხდომებსა და საკითხების განხილვის პროცესში. მონაწილეობა მაქვს მიღებული კომისიის ყველა სხდომაში (სულ 19 სხდომა).

ბოლოს, მსურს, დღევანდელი შეხვედრა მადლობით დავასრულო და მადლობა გადავუხადო ჩემს გუნდს — თითოეულ თქვენგანს: ზონისა და უბნის უფროსებს, აგიტატორებს, მერის წარმომადგენელს, ადმინისტრაციულ ერთეულში მომუშავე თითოეულ თანამშრომელს, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემი გულშემატკივარი და ამომრჩეველია. თქვენი მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე დღეს აქ არ ვიქნებოდი. თითოეული თქვენგანის შრომა, ერთგულება და გვერდში დგომა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით შევძელით არაერთი მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება. წინ კიდევ ბევრი დიდი, საინტერესო და მნიშვნელოვანი საქმე გველოდება. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი მუშაობით კიდევ არაერთ წარმატებას მივაღწევთ და ისეთ შედეგებს მივიღებთ, რომლებიც ჩვენი ქალაქისა და განსაკუთრებით, „გამარჯვების“ სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობის კეთილდღეობას მოემსახურება.

კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს ნდობისთვის, მხარდაჭერისთვის, თანადგომისა და იმ საქმისთვის, რომელსაც ერთად ვაკეთებთ!

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

(გამარჯვების საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი)

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი